ცნობის ფურცელი

№ 2359 კვირა, 21 დეკემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2359

ფასები ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გან. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

წარმ. 30.

ქართული თეატრი

კვირას, 21 დეკემბერს, 1903 წელს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმანი

დრამა 5 მოქ. ჰ. იბსენისა თარგ. ი. პოლუმორდვინოვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. დავითიშვილი, ა. კარგარეთელი, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
კვირას, 21 დეკემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

კამორრა

ოპერა 3 მოქმ. ე. დ. ესპოზიტოსი.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: არციბაშევა, კარრი, სელიუკ; ბ-ნნი: დარსკი, სელიავინი, ილიუშჩენკო, თულაევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ი. ა. პოზენი.

ანონსი: 22 დეკემბ. ბენეფისი კასირისა—„ფაუსტი“, 27 დეკემ. დარსკის ბენეფისი—„ტანგეიზერი“.

ნამდვილი თეთრი ცელულიარული აბრეშუმის გრენა

ბაღდადის ჯიშისა, თითო კოლოფში ექვს-ექვსი მისხალი

ძმ. პასხალიდის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ა. კ. ზახარიადისი**

ადრესი: დვორცოვი ქუჩა, სარაჯევის სახლი, სადგომის № 6. (10—4)

22 დეკემბერს 1903 წ. **ტფილისის საკრებულოს დარბაზში** გაიმართება **„წერა-კითხვის საზოგადოების“** სასარგებლოდ

კონცერტი,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი: ჩემესოვისა, ბ-ნნი: ვ. ბალანჩივაძე, ვილშაუ, ევლახიშვილი, პოლივკა, თ. აკაკი წერეთელი და **სიმღერის მოყვარულთა გუნდი და ორკესტრი**

ბ-ნ ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

ხორო და ორკესტრი შეასრულებს ა. რუბინშტეინის სასულიერო ორატორიიდან „ბაბილონის გოდოლის შენება“-ს, ქართლურს, იმერულს, გურულს და სვანურს სიმღერებს და მარშს „აღსდეგ, გმირთ-გმირო!“.

კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართული და ევროპიული ცეკვა. ბილეთები იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა). (5—უ.—4)

გამოვიდა და იყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში ახალი გამოცემანი ქუთათურ ამხანაგობისა:

1) **„ლევან ბატონიშვილი“** თხზ. თ. ხუსკივაძისა, ფასი 10 კაპ.

2) **„ჟიანეტა“** თარგ. ა. ი. ნიკოლაძისა, ფასი 30 კაპ.

ვინც ამხანაგობის კიოსკიდან (ქალ. ქუთაისი, ქალაქის ბაღი) დაიბარებს ან იყიდის იქვე ამხანაგობის გამოცემებს 20 დეკემრიდან 20 იანვრამდე, მას დაეთმობა 30% დაკლებით, ხოლო ა) თხზ. მამია გურიელისა, ბ) თხზ. გ. წერეთლისა I და II ნაწ. გ) „საქართველოს ისტორია“ ბარათაშვილისა I და II ნაწ., და დ) თხზ. გრ. აბაშიძისა 40% დაკლებით.—იბეჭდება და მალე გამოვა გ. წერეთლის თხზულებათა მე-III ტომი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვნაძისა. (წლ.)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოით 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტაპარმაკლიძისა. (0—6.—29)

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევს 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

„მოამბის“ რედაქციისაგან

რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველების წინაშე ნომრების დაგვიანებისათვის. ნოემბრის და დეკემბრის ნომრებიც მოკლე ხანში გამოვა.

ამასთანავე რედაქცია სიამოვნებით აცხადებს, რომ დღეიდან ბევრმა აღუთქვა ჟურნალში თანამშრომლობა.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

„დეილი მეილ“-ს დეპეშით ატყობინებენ კობედან: იაპონიის სამხედრო მთავრობამ გაზეთების გამომცემლებს სთხოვა, იაპონიის ჯარის გადაყვან-გადმოყვანისა და სამხედრო სურსათის გადატან-გადმოტანის თაობაზე ცნობებს ნულარ დაჰბეჭდავთ, რადგან ახლა ამნაირ ამბების გამოცხადება საზარალო იქმნება იაპონიისათვისაო.

„ტაიმს“-ს დეპეშით სწერენ პეკინიდან: მალე შეიძლება ომი მოხდეს, ამიტომ ბრიტანიის მთავრობა ომის სამზადისს უნდა შეუდგეს, რომ შორეულ-აღმოსავლეთში თავის მტრებს რიგიანი პასუხი გასცეს. ჩინეთი თავის ნებით იარაღს არ აისხამს. ინგლისი უდარდელად იქცევა, იაპონია-კი მეტად ბეჯითადა და გონივრულად ემზადება საომრად.

„დეილი მეილ“-ს სწერენ ტოკიოდან: პეკინიდან დეპეშა მოვიდა, ჩინეთის მთავრობა დარწმუნებულია, ომი უსათუოდ მოხდებაო და ეხლა ჰფიქრობს, რა პოლიტიკას დავადგე, როგორ მოვიქცე ამ შემთხვევაშიო.

გერმანულ გაზეთებს ნიუ-იორკიდან ატყობინებენ: ამერიკის მთავრობამ თავის ფლოტი ფილიპეს კუნძულებისაკენ გაჰგზავნა. ამერიკის გემი „ვიკესბურგ“-ი ჩემულპოში ამერიკის საელჩოს დასაცველად გაჰგზავნეს.

„კელნიშე ცაიტუნგ“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: მცოდნე პოლიტიკოსთა წრეები ისევ იმ აზრისანი არიან, რომ შორეულ-აღმოსავლეთის საქმის ვითარება უკანასკნელ დღეებში სულაც არ გაუმჯობესებულა. რუსეთსა და იაპონის შუამავლები არ აკლიათ. საფრანგეთი და ინგლისი ძლიერ ცდილობენ, რომ საქმე მორიგებით გათავდეს, ამათი ელჩები პეტერბურგში ბეჯითად მოქმედებენ, მაგრამ, ჯერ-ჯერობით მაინც, ვერასა ხდებიან.

ინგლისისა და რუსეთის გაჯიბრება აზიაში

ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა გაბრიელ ბონვალომ „ეხო დე პარი“-ში საინტერესო წერილი დაბეჭდა სათაურით „რუსები და ინგლისელები აზიაში“. ავტორი სწერს: „რუსეთი და ინგლისი ნამდვილად გაიჯიბრნენ აზიაში. რუსეთმა აღმოსავლეთ აზიაში ბევრი ადგილები დაიჭირა და, ვინ იცის, ჯერ კიდევ რამდენს დაიჭერს. რუსეთს, რამდენიც იზრდება და ძლიერდება, იმდენი მხნეობა, გამჭრიახობა და მოხერხებაც ემატება. ამავე დროს რუსეთს თავისი ძალაცა სწამს და იცის კიდევაც, ეს ძალა როგორ მოიხმაროს. მაგრამ ინგლისი ყველგან წინ უხვდება რუსეთს და ათას დაბრკოლებას უჩენს. მოვა დრო, როცა რუსეთი და ინგლისი აზიაში ერთმანეთს დაუპირდაპირდებიან და შეებრძოლებიან. მართალია რუსეთი თანდათან წინ იწევს აზიაში, მაგრამ არც თუ ინგლისსა სძინავს. ინგლისელები მეტად გონივრულად, წინ დახედულადა და მოსაზრებულად მოქმედებენ აზიაში; ყოველ წვრილმან საქმესაც კი დიდ ყურადღებას აქცევენ. ინგლისი აზიაში, ნამეტნავად ინდოეთში, საუკეთესო სახელმწიფო კაცებსა ჰგზავნის. ინგლისელმა მოხელეებმა კარგად იციან, სად და როდის როგორ მოიქცნენ, უმაღლეს მთავრობის დარიგება იმათთვის საჭირო არაა. ინგლისი ყველაზე დიდ ყურადღებას ინდოეთს აქცევს და სულ იმის ცდაშია, რომ ინდოეთის საზღვრები გაამაგროს. ამავე დროს ინგლისელები გაჩქარებით იჭერენ აზიის საუკეთესო ნავთ-სადგურებს და რუსეთს ზღვისა და ოკეანეს გზებს უკრავენ. შორეულ-აღმოსავლეთში ინგლისმა იაპონია მოიხმარა რუსეთის წინააღმდეგ. აკი იაპონელებიც კარგად უხვდებიან რუსეთს და დიდ დაბრკოლებას უჩენენ კორეასა და მანჯურიაში.

სპარსეთის ყურეში ინგლისელები თავიანთ გავლენას ყოველის ხერხით აძლიერებენ: მისიებითა, კრეისერებითა და, თუ დასჭირდათ, ზარბაზნების სროლითაც. ინდოეთში ამ ჟამად ორი ნიჭიერი და მხნე სახელმწიფო კაცი მოქმედებს:—ინდოეთის მეფის მოადგილე ლორდ კერზონი და იქაურ ჯარის მთავარსარდალი ლორდ კიჩენერი და რაღა გასაკვირველია, რომ ეხლა იქ გაძლიერებლი მუშაობა იყოს.

ამის შემდეგ ბონვალო ტიბეტის საქმეზე სწერს. ამას წინად ევროპიული გაზეთები ამტკიცებდნენ, რუსეთმა ხელ-შეკრულობა დასდო ტიბეტთანაო. ამიტომ ეხლა, როდესაც ინგლისმა ტიბეტს სამხედრო ექსპედიცია გაჰგზავნა, რუსეთი უსათუოდ უნდა გაერიოს ამ საქმეში და ინგლისს წინააღმდეგობა გაუწიოს. რუსეთი უსათუოდ ასე უნდა მოიქცეს, თუ არ უნდა, რომ სახელი არ გაუტყდეს და თავის მრავალ ბუდისტ ქვეშევრდომის ნდობა დაჰკარგოს. ბუდისტებს ტიბეტის სატახტო ქალაქი ლხასი წმინდა ქალაქად მიაჩნიათ, ისე როგორც კათოლიკებს რომი მიაჩნიათ. თუ რუსეთი ინგლისელებს არ შეაყენებს, ესენი უსათუოდ ლხასაში მოჰყოფენ თავსა. მერე ავღანისტანის ჯერიც ამოვა. ლორდ კერზონი და კიჩენერი ავღანისტანის საქმესაც დიდის ყურადღებით ეკიდებიან და უსათუოდ ეცდებიან, ეს საქმეც ინგლისის სასარგებლოდ გადასწყვიტონ“.

საფრანგეთ-იტალიის კონვენცია

ამ დღეებში დეპეშამ გვაცნობა, საფრანგეთმა და იტალიამ ხელი მოაწერეს სამედიატორო სასამართლოს თაობაზე დადებულ კონვენციასაო. ამ ამბავმა მთელი ფრანგული პრესა აალაპარაკა. „მატენ“-ი ამბობს, ამ კონვენციის შემდეგ იტალიასა და საფრანგეთს შუა უფრო გულითადი განწყობილება დამყარდებაო. „ეკლერ“-ი ამ კონვენციას უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე ინგლის-საფრანგეთის კონვენციას. გაზეთის აზრით, ამ კონვენციის ძალით იტალია გერმანიას ჰშორდება და სხვა სახელმწიფოებს უმეგობრდება. ეს კონვენცია სამთა კავშირის დაშლას მოასწავებსო.

ცანარდელი

ამ დღეებში დეპეშამ გვაცნობა, იტალიის პირველ-მინისტრად ნამყოფი ჯუზეპე ცანარდელი გარდაიცვალაო. ცანარდელი 1829 წელს დაიბადა, უმაღლესი იურიდიული განათლება პავიის უნივერსიტეტში მიიღო და ადვოკატობა და ჟურნალისტობა დაიწყო. 1895 წ. ცანარდელი პირველად აირჩიეს პარლამენტის წევრად. 1876 წ. დეპრეტისის კაბინეტში მინისტრობა მიიღო, მერე კაიროლის კაბინეტში შინაგან საქმეთა მინისტრად იყო. 1881 წ. დიდ მონაწილეობას იღებდა ახალ საარჩევნო კანონის შედგენაში. ამ უკანასკნელს რამდენსამე წელიწადს ცანარდელი პირველ-მინისტრად იყო და საზოგადოდ ეხლანდელ მეფის დროს დიდს როლს თამაშობდა. წარსულ შემოდგომაზე ავადმყოფობისა გამო სამსახურიდან გადადგა და მეფემ იმის ნაცვლად ჯიოლიტი მიიწვია პირველ მინისტრად.

ჩეხ-დეპუტატის კრამარჟის სიტყვა

ავსტრიის დელეგაციაში, ბიუჯეტის განხილვის დროს, მლადოჩეხმა კრამარჟმა ავსტრიის ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე სიტყვა წარმოსთქვა. კრამარჟი სამხედრო საქმეს შეეხო და სთქვა: მინისტრ-პრეზიდენტის კერბერის გარდა, ეხლა ყველა ჰხედავს, რომ ჰუნგრეთმა ავსტრიას აჯობაო. ჰუნგრებმა იმაზე მეტი უფლება მოიპოვეს, ვიდრე თვითონ მოელოდნენ. ჰუნგრებს კარგად ესმით, რომ საერთო ჯარი და ავსტრო-ჰუნგრეთის ძლიერი იმპერია დიდი იმედი და ბურჯია იმათ სამშობლოსათვის, ეგაა კერბერი იმნაირ ბოროტ პოლიტიკას ადგია, რომ ყველას ავსტრიისაგან განთავისუფლება მოანდომებინა. ჰუნგრეთი საერთო ჯარის წინააღმდეგ კრინტსაც არ დასძრავდა, ჩვენებური ჯარი რომ საერო დაწესებულება იყოს და ყოველ ეროვნებას საკუთარი უფლება ჩამორთმეული არა ჰქონდეს. ჩეხებს ტყუილად სწამებენ სიხარბესა და „გაუმაძღრობას“. ჩეხები მხოლოდ ახლანდელ კანონებისა და თავიანთ კულტურულ მოთხოვნილებათა შესრულებას ითხოვენ. ჩვენ არც სხვისა ძაგებას დავდევთ, არც ქებას. ვინც რა უნდა თქვას, ჩვენ მედგრად განვაგრძობთ ბრძოლას ჩვენის ისტორიულ და ეროვნულ უფლების მოსაპოვებლად“.

ახალი ამბავი

◆ ხვალ, 22 დეკემბერს, ტფილისის საკრებულოს დარბაზში გაიმართება **კონცერტი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.** კონცერტი, როგორც პროგრამიდანა სჩანს, საინტერესო იქნება. მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ჩემე-

სოვა, ბ-ნნი ბალანჩივაძე, ვილშაუ, ევლახიშვილი, პოლივკა, თავ. ა. წერეთელი და მომღერალთა გუნდი და ორკესტრი ბ-ნ ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით. ხორო შეასრულებს გურულ, იმერულ, ქართლურ, კახურ და სვანურ სიმღერებს. კონცერტის შემდეგ ქართული და ევროპიული ცეკვა გაიმართება. ყოველ წელიწადს ამ კონცერტს დიდ-ძალი ხალხი ესწრება და, ეჭვი არ არის, წელსაც დაესწრება.

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა **ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა** მიერ არჩეულნი: ქუთაისის მაზრის წინამძღოლად—თავ. დ. ო. ნიჟარაძე, ოზურგეთისა—თავ. კ. დ. ერისთავი, რაჭისა—თ. დ. ა. ყიფიანი და ლეჩხუმისა—თავ. ი. დ. გელოვანი. მაზრის წინამძღოლთა თანაშემწედ: ქუთაისისა—თავ. ნ. კ. ნიჟარაძე და ოზურგეთისა—ი. ხ. გოგიტიძე. ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა დეპუტატად ს. თ. ხუნდაძე.

◆ როგორც „კავ.“-ს ატყობინებენ, ალექსანდროპოლში 18 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, **ექვსი შეიარაღებული კაცი** შევარდნილა სავაჭრო კონტორაში იმ დროს, როდესაც იქ მუშაობა იყო. კონტორაში ამ დროს 7 კაცი ყოფილა. ყაჩაღებს მოუკლავთ ამწონი ბერეზინი, სასიკვდილოდ დაუჭრიათ კასის დამცველი, ჟანდარმი კოვალენკო და მსუბუქად დაუჭრიათ კონტორის მომუშავენი პრიკაზჩიკოვი და გეორგაძე. შემდეგ ხალხი შეკრებილა და ბოროტ-განმზრახველნი გაქცეულან, ისე რომ ვერაფერი წაუღიათ.

◆ მთავრობამ ნება დართო გაზეთის „Кавк. Листокъ труда и объявленій“-ს გამომცემელს ნ. ი. თამამშევს **გააფართოვოს თავის გამოცემის პროგრამა.** ნება აქვს დაბეჭდოს საქარხნო-საფაბრიკო საქმის ქრონიკა, კავკასიის ამბები, თეატრის რეცენზიები, კორესპონდენციები და სხვა.

◆ 19 დეკემბერს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიხილა განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება **ღვინის კანონის** შესახებ პროექტისა. ამას წინად მკითხველებს უკვე გავაცანით პროექტის შინაარსი. საზოგადოების საბჭომ უცვლელად მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი და დაადგინა, წარუდგინოს მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ საბჭოს.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა შუამდგომლობა აღძრა, სამეურნეო საზოგადოებას რამდენსამე ხანს კიდევ მიეცეს ნება **სამზღვარ-გარეთიდან უბაჟოდ გამოიწეროს** მავნებელ მწერებთან საბრძოლველი იარაღი და წამალი. ვადა უბაჟოდ მასალების შემოტანისა დასრულდა 18 დეკემბერს. საბჭოს უნდა გაზაფხულისთვის ეხლავე დაამზადოს საჭირო იარაღი და მასალა. ამიტომ გუშინ ვიცე-პრეზიდენტმა ხელახლა მიჰმართა დეპეშით მიწათმოქმედების დეპარტამენტს და სთხოვა, შეგვატყობინეთ განკარგულება მინისტრისა საზოგადოების შუამდგომლობის შესახებაო.

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად **ნავთლუხის მცხოვრებთ** საერთო თხოვნა გადასცეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს ნავთლუხში ფარნები დაედგა. ქალაქის გამგეობის ანგარიშით, ნავთლუხში ფარნების გამართვას დასჭირდება 617 მან. გამგეობამ დაადგინა, ეს საკითხი განიხილოს მაშინ, როცა მთავრობა 1904 წლის ხარჯთ-აღრიცხვას დაამტკიცებს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 19 დეკემბერს განიხილა რკინის გზის გამგეობის მოწერილობა. უკანასკნელი სთხოვდა, **ნაძალადევსა და სადგურის მახლობელ ადგილებში** ქალაქმა დასდგას გალსკესა და ვაშინგტონის სისტემის ფარნები, რადგან სიბნელის გამო ამ ადგილებში ყოველთვის შეუძლიანთ დამალვა ბოროტ-განმზრახველთაო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რადგან ქალაქს არავითარი სახსარი არა აქვს ფარნების გასამართავად, უარი გამოეცხადოს რკინის გზის გამგეობასაო.

◆ ხვალ **ტფილისის ქალაქის საბჭოს** განსახილველად აქვს 15-მდე საქმე.

◆ აზრადა აქვთ ტფილისის ქალაქის **სიფილიტიურ საავადმყოფოსთვის** ახალი სადგომი შეიძინონ. ეხლანდელი სადგომი ძლიან დაშორებულია ქალაქზე, ამასთან იმდენად მოუწყობლი და პატარაა, რომ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. სასანიტარო საბჭოს გამოუძებნია ადგილი კონსულის ქუჩაზე. ეს ადგილი ეკუთვნის სულხანოვს, რომელიც შენობას ქალაქს 22.500 მან. უთმობს, ხოლო ადგილს 75,000 მან. კომისიის ანგარიშით, საავადმყოფოში გაიმართება 120 საწოლი საზოგადო და რამდენიმე ცალკე ოთახი. ყოველ წლობით სამკურნალოდან შემოუვა ქალაქს 34,000 მან., ხოლო ხარჯი ექნება 38,000 მან. ასე რომ მეტი მხოლოდ 4000 მანეთი დასჭირდება. ხალხის ჯანმრთელობისათვის მზრუნველმა კომისიამ განიხილა ამის შესახებ მოხსენება და პრინციპიალურად მოიწონა იგი. კომისიამ დაავალა ექიმს ისტამანოვს და სამკურნალო ინსპექტორს, ეცადნენ იქნება უკეთესი ადგილი იშოვნონ ქალაქის შუაგულში.

◆ მოგვივიდა **ახალი ქართული წიგნი** „საბერძნეთის ძველი ისტორია“ პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძის მიერ. წიგნი შეიცავს 460 გვერდს; შიგ მოთავსებულია 42 სურათი და ორი ისტორიული რუქა. როგორც სურათები, ისე მთელი წიგნი კარგად და ლამაზად არის დაბეჭდილი. ფასი წიგნისა ერთი მანეთია.

◆ ჩვენ გვთხოვენ, ქველ-მოქმედთა ყურადღება მივაქციოთ მიხეილ მარიამიძის გაჭირვებულ მდგომარეობას. მიხეილ მარიამიძე მოხუცი კაცია, შვიდი წელიწადია დასნეულდა და ლოგინად არის ჩავარდნილი. იმისი ცოლი აქამდე ქარხანაში მუშაობდა, მაგრამ დაშავდა, მუშაობა აღარ შეუძლიან და ახლა უადგილოდ არის. ჰყავთ ოთხი შვილი, რომელთაგან უფროსი 12 წლისაა. არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ გააჩნიათ. ადრესი: ანტონოვის ქუჩა (ვოგზალს იქით), არჯევან ობოლაშვილის სახლი.

◆ ტფილისის საკლავ საქონლის თვალ-ყურის გდება ბეითალის როსტოვსკის ნაცვლად ხორცის დუქნების კომისიამ დაავალა ბეითალ კანცელმახერს.

—

დღევანდელ №-თან ერთად ხელისმომწერთ ეგზავნებათ **სურათებიან დამატების** მე-178 №, რომელშიაც მოთავსებულია: „შემოდგომის ღამე“, ეტიუდი მ. ადამაშვილისა; წვრილი ამბები; სურათები: „რას ერჩის“, როცინსკისა; „წვიმის მოლოდინში“, ვატრონისა და ორი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის გამგეობა, როგორც იქმნა, პირობით შეეკრა მიწის მზომელს ნ. პ. გრიზოს, რომელსაც მიანდო საღორიის აგარაკის დაგეგმვა და სამოსახლოებად დაყოფა. პირობა დაახლოვებით ამგვარია: უნდა დაიგეგმოს საღორიის აგარაკში ყველა დასახლებული და ცარიელი ადგილი (მხოლოდ ბაღისთვის კი უნდა დაიგეგმოს ტყიანი ადგილი). დასახლებული ადგილები უნდა დაინიშნოს გეგმაზე, რაც შეიძლება, გარკვევითა და დაწვრილებით; უნდა აღნიშნულ იქმნეს შენობები, გარდა ბეღლებისა, ბოსლებისა და ამგვარებისა. თითო სამოსახლო უნდა იქმნეს სივრცით არა ნაკლები 200 ოთხკუთხ საჟენისა. გეგმაზედ უნდა აღნიშნულ იქმნეს ყოველ სამოსახლოს საზღვარი, ქუჩები, შუკები, მოედნები, ბაღები და სხ. აგარაკის დაგეგმვა უნდა გათავდეს და დამთავრებული გეგმა უნდა წარედგინოს ქალაქის გამგეობას არა უგვიანეს მომავალის წლის ივლისის პირველ რიცხვისა. ქალაქის გამგეობა მთელ სამუშაოს ფასად აძლევს გეგმის შემდგენელს 1200 მანეთს.

◆ ქალაქის გამგეობას ერთი საავადმყოფო აქვს, სადაც 14 ლოგინი უდგას ავადმყოფებისთვის. საავადმყოფოში იღებს უმეტესად ვენერიულ ავადმყოფებს და თვიურად თხუთმეტ მანეთს ახდევინებს. ამ საავადმყოფოს უფრო ღარიბი ხალხი ეტანება. განკურნების შემდეგ ათში ერთი თუ გადაიხდის ფულს თავის ნებით; დანარჩენებს კი პირობას აღებინებენ პოლიციაში, რომ დანიშნულ ვადაზე შეიტანონ ხვედრი ფული. ზოგი მართლაც ასრულებს პირობას და შეაქვს ფული ქალაქის კასაში; ვინც ვერ შეიტანს, იმის გადასახადს მთელ საზოგადოებას ახდევინებენ. ასე იყო ამდენხანს. ეხლა კი, როდესაც „круговая порука“ მოისპო და საზოგადოება განთავისუფლდა ამ უსამართლო გადასახადისაგან, ქალაქის ისედაც მცირედი შემოსავალი საავადმყოფოდან კიდევ უფრო შემცირდება. როგორც მითხრეს, საავადმყოფოს მთელი წლის შემოსავალი ეხლაც მხოლოდ 500-600 მანეთია და რაღა იქნება შემდეგში, თუ ესეც შემცირდა. ამ ფულის აღებას შრომა დიდი სჭირდება. ნუ-თუ ქალაქს არ შეუძლიან ხელი აიღოს ამ მცირე შემოსავალზე და სთქვას მაინც, ერთი საავადმყოფო მაქვსო?!

◆ პროფესორი ვ. მ. პეტრიაშვილი, რომელსაც ამ დღეებში მოელოდნენ ქუთაისში

ფელეტონი

—

პატარა ამბები

დრამატიულ საზოგადოების წარსული კრება.—სად თავდება კრების უფლება?—მამულიშვილობა და ნაჩუქარი უფლება.

დარწმუნებული ვარ, ბევრს არ მოეწონებოდა დრამატიულის საზოგადოების ამასწინანდელი კრება, *) ხაოსის მსგავსად, არეულ-დარეულად, უთავბოლოდ, მოუმზადებელად მოეჩვენებოდა იგი, დაინახავდა შიგ ჩვენს ჩამორჩენას, განუვითარებლობას და პესსიმისტობას მიეცემოდა: „არაფრად ვარგივართ, არა გაგვეგებაო, იტყოდა: ლაპარაკი არ ვიცით, დისციპლინა, წესიერება არა გვწამს, ერთი მეორის უფლება ვერ გაგვირჩევია... დაღუპულნი ვართ, დაღუპულნიო!“ ასე ილაპარაკებს, ვინც საქმეს ცალმხრივად, განყენებულად უყურებს, ვინც ხედავს იმას, რაც ახლოა, და არა იმას, რაც ცოტა მოშორებითაა, მაგრამ რაც უფრო ძლიერია და საიმედო.

მე კი ოპტიმისტობას გამოვიჩენ ამ მხრივ და ვიტყვი, რომ მეტად კმაყოფილი და ნასიამოვნები დავრჩი წარსულის კრებით: იგი საინტერესო სურათი იყო ჩვენის ცხოვრებისა. ვამბობ ამას და აქ სრულებით არა მაქვს სახეში, თუ როგორს გადაწყვეტილებას დაადგა კრება. ყველაზე უწინარეს მე ის მაინტერესებს, თუ რას ლაპარაკობდნენ კრებაზე დამსწრენი და როგორის ხალისით ლაპარაკობდნენ. კრება სასიამოვნო იყო იმით, რომ მასში აშკარად სჩანდა სიცოცხლე, წყურვილი სიცოცხლისა და წინ მისწრაფება. საზოგადოებას ეტყობოდა სიფხიზლე, ეტყობოდა, რომ იგი იზრდება, თუმცა ნელ-ნელა, იკვლევს და ეძიებს სიმართლის გზას... აი, სად არის იმედი. დეე, შეცდეს საზოგადოება დღეს, შეცდეს ხვალ, ზეგ, ოღონდ კი ეძიოს, იკვლიოს, ნუ დაიძინებს და მკვდრის სახეს ნუ მიიღებს, ეძიოს და უთუოდ მოიპოვებს სანატრელს საგანს. იყოს ზრდა და მაშინ ნურაფრის შიში ნუ გვექნება. კარგად არ გვესმის დღეს ერთმანეთის უფლება? შევიგნებთ მას! არა გვყავანან კარგნი მოლაპარაკენი? გაიწვრთნებიან და გვეყოლებიან! არ ვიცით ჩვენის უფლების და ღირსების ფასი? დავაფასებთ და უფრო გაბედულად ვიბრძოლებთ მათთვის!..

„ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ!“ ეს ისტორიის მსოფლიო კანონია. წარსულშიაც ასე ყოფილა და დღესაც ასეა, რომ ძებნას ყოველთვის მოპოვება მოჰყვება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძებნა „ადამიანის და მოქალაქის უფლებებს“ შეეხება. ჯერ თვით ძებნაც ამ შემთხვევაში სიცოცხლეა და ნახევრად მოპოვება სასურველ საგნისა. საზოგადო კრებები აღზრდის ყველაზე უფრო ჩვენში უფლების შეგნებას, მათის შემწეობით გავითვალისწინებთ საზოგადო ცხოვრების სურათს... ამიტომ უნდა ვაფასებდეთ ყოველს საზოგადო კრებას, ნამეტურ ისეთს ცოცხალს, როგორიც იყო დრამატიულ საზოგადოების წარსული კრება...

* *

წარსული კრება მშვიდობიანად გათავდა. თავი დავანებოთ იმის განხილვას, თუ როგორი იყო მისი დასასრული. უფრო საყურადღებოა ამ კრებაზე წამოყენებული ერთი პრინციპიალური კითხვა: სად თავდება საზოგადო კრების უფლება და სად იწყება გამგეობის უფლება? გამგეობის ერთმა წევრმა განაცხადა: კრებას არა აქვს იურიდიული უფლება შეეხოს მომხდარ ინციდენტსაო კრების დიდი უმრავლესობა სრულებით დაეთანხმა ასეთს აზრს.

საზოგადო კრების და გამგეობის შესახებ არა ერთხელ აღძრულა კითხვა ჩვენს საზოგადოებაში. მართლაც მეტად საინტერესოა ამის გამოკვლევა: აქვს თუ არა გამგეობას გაჩუმების უფლება და კრებას არ შეუძლია მოსთხოვოს მას ანგარიში ყოველისავე მოქმედების შესახებ? ჩემის აზრით, გამგეობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიენიჭება ამგვარი უფლება და ასეთის უფლების მინიჭება იქნებოდა ყოველის უფლების უარ-ყოფა.

რა არის გამგეობა? აღმასრულებელი ორგანო საზოგადო კრებისა. ამ შემთხვევაში გამგეობა შეგვიძლია შევადაროთ ევროპიულ სამინისტროს, რომელიც აღმასრულებელი ორგანოა პარლამენტისა. არ არის ისეთი სამინისტრო, რომელიც პასუხის მგებელი არ იყოს ყოველს თავის მოქმედებაში პარლამენტის წინაშე. საკვირველიც იქნებოდა, რომ ასეც არ იყოს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, უფროსი იქნებოდა სამინისტრო და არა პარლამენტი. სამინისტრო პასუხის მგებელია არამც თუ უკანონო საქციელისათვის, არამედ თავის **შეცდომისა** და მავნებელ, **საზარალო** მოქმედებისათვისაც. ეს არის დედა ბოძი საპარლამენტო და საკონსტიტუციო წესწყობილებათა და უამისოდ არავითარი აზრი და ძალა არ ექნებოდა მათ არსებობას. ვინც უფროსია თქვენი, ვის განკარგულებასაც ასრულებთ, მას ეკუთვნის კონტროლი თქვენის მოქმედებისა, ვალდებული ხართ, მას ჩააბაროთ ყოველივე ანგარიში. აქ არავითარი განსაზღვრა არ შეიძლება. პარლამენტს, პარლამენტის წევრებს შეუძლიანთ ყოველის მოქმედების ანგარიში მოსთხოვონ სამინისტროს. ამ საფუძველზეა დამყარებული შეკითხვები პარლამენტში, ინტერპელაციები და საპარლამენტო კომისიების დანიშვნა. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ პარლამენტი დრო-გამოშვებით, წლის ბოლოს კი არ სთხოვს ანგარიშს სამინისტროს, არამედ მუდამ თვალყურს ადევნებს მის მოქმედებას და არ იწონებს, თუ მის მოქმედებაში რამ ცუდი და მავნებელი დაინახა.

ავიღოთ ახლა რუსეთის საერობო და საქალაქო თვითმმართველობა. რა დამოკიდებულებაა, მაგალითად, ქალაქის გამგეობასა და საბჭოს შორის? კანონის ძალით ქალაქის გამგეობა არის აღმასრულებელი ორგანო საბჭოსი, განაგებს პირდაპირ ქალაქის მეურნეობას და საქმეებს და თავის მოქმედების ანგარიშს აძლევს საბჭოს. საბჭო არამც თუ უმაღლესი ხელმძღვანელი-ზედამხედველია გამგეობისა, არამედ, სენატის ორის განმარტებით, საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს გამგეობის დადგენილებანი.

ჩვენში შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ გამგეობამ ზოგიერთ მოქმედებაში ანგარიში არ გაუწიოს საზოგადო კრებას. ამ აზრის მომხრენი გვეუბნებიან: გამგეობას აქვს ამა თუ იმ მოქმედების უფლება, მაშასადამე აქვს იმის უფლებაც, რომ არავის ანგარიში არ მისცეს ამ მოქმედებისაო. აქ ორის სხვა და სხვა აზრის ერთმანეთში არევაა. მოქმედების უფლება—ერთი საგანია და ანგარიშის ჩაუბარებლად მოქმედება კიდევ სხვა, მეორე საგანია, ერთი მეორისაგან სრულებით არ გამომდინარეობს. რამდენი რისმე გაკეთების უფლება აქვს სამინისტროს, მაგრამ შეუძლია რისმე ანგარიში არ მისცეს პარლამენტს? (ვადარებ გამგეობას სამინისტროს, რადგან თუმცა დიდად განსხვავდებიან გარეგნულად ერთი მეორისაგან, მაგრამ მათის წყობილების პრინციპი ერთია). გამგეობას ფულების ხარჯვის უფლება აქვს, მაშ არ უნდა მისცეს ამის ანგარიში საზოგადო კრებას? გამგეობა ადგენს რეპერტუარს, გამგეობა იძენს ბიბლიოთეკას, ტანისამოსებს, დეკორაციებს, იწვევს არტისტებს (კარგს თუ ცუდს),—და ყველაფერ ამაში პასუხი არ უნდა გასცეს კრებას? თუ უნდა გასცეს,—რად არ უნდა გასცეს იმის პასუხი, სამართლიანად და სასარგებლოდ მოიქცა ამა თუ იმ აქტიორის დათხოვნის დროს? სად არის ამის განსაზღვრა? ეს განუსაზღვრელია და ამის განსაზღვრაც არსად იქნება. შეიძლება, რომ გამგეობას „გარეშე მიზეზებისა“ გამო არ მიაჩნია შესაძლებლად რომელისამე საგნის სრულიად განხილვა საზოგადო კრებაზე, მაგრამ ეს „შეძლების თუ არ შეძლების“ კითხვაც საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოს. გამგეობას არა აქვს არც ერთი მოქმედების უფლება, რომლის ანგარიშის მოთხოვნა არ შეეძლოს კრებას,

---

*) ამ შენიშვნების დაბეჭდვა უადგილობისა გამო დაგვიანდა. ს.

საქმიო ლაბარატორიისთვის ადგილის ამორჩევაში მონაწილეობის მისაღებად, იწერება, —ჩემი ჩამოსვლა მომავალის წლის აღდგომის უქმეებამდის არ მოხერხდებაო. 18 დეკემბერს ადგილის ამომრჩეველ კომისიამ დაადგინა, მოუცადოს ვ. მ. პეტრიაშვილის ჩამოსვლას მომავალ წლის მარტამდის, რადგან ლაბორატორიის შენობისათვის ადგილის ამორჩევა ძლიერ საყურადღებო საკითხია და ბ-ნ პეტრიაშვილის დაუსწრებლად არ ივარგებსო.

◆ ქუთაისის გუბერნიის საქმიო გამგეობამ აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ სენატს უყურადღებოდ დაუტოვებია მეაფთიაქეების პ. კოკოჩაშვილისა და ვ ვიტუშინსკის საჩივარი ბ-ნ გუბერნატორის დადგენილებაზე, რომლის ძალითაც ქალაქის გამგეობას ნება დაერთო ივანოვის ქუჩიდან ქალაქის აფთიაქი გადმოეტანა ტფილისის ქუჩაზე, საკუთარს შენობაში: „აფთიაქების ქალაქისა თუ სოფლის ამა თუ იმ ადგილზე მოთავსების ნებართვა დამოკიდებულია ადგილობრივს საექიმო და სამოქალაქო მთავრობაზეო“.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, იმას უკანონოდ უცვნია ქალაქის საბჭოს დადგენილება შესახებ იმისა, რომ ტფილისის ქუჩის მცხოვრებნი განთავისუფლებულ იქმნენ ქუჩის გასაკეთებელ გადასახადის ნახევრისაგან; ამისთვის საბჭოს დადგენილება გადაეცა განსახილველად საქალაქო საქმეთა საკრებულოს. ამასთანავე ბ-ნი გუბერნატორი სთხოვს გამგეობას, რაც შეიძლება მალე აცნობოს ტფილისის ქუჩის იმ მცხოვრებთა ვინაობა, რომელნიც თხოვნაზე ხელს აწერენ, და თვითეულ მათგანზე რამდენია დარჩენილი გადასახადი, აგრეთვე ისიც, რამდენი ხარჯი მოსვლიათ ამ ქუჩის მცხოვრებთ ქუჩის შესაკეთებლად უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „ვარშ. დნევ.“ იუწყება, რუსეთის მრეწველობის დამხმარე საზოგადოების ვარშავის განყოფილებას გადაუწყვეტია, მოაწყოს საჯარო ლექციების კითხვა და სამეცნიერო კონფერენციები ქალთა მეცნიერულ და საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობის შესახებ.

◆ ტვერისა და ჩერნიგოვის საგუბერნიო ერობათ თითქმის ერთხმად დაუდგენიათ, ვიშუამდგომლოთ, რომ საგლეხო კანონმდებლობის პროექტი სახელმწიფო საბჭოში წარდგენამდის ერობათ გადმოსცენ განსახილველადაო.

◆ ამ დღეებში ნება დაურთავთ, ტაშკენტ-თურქესტანის ახლად გაყვანილ რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლა დაიწყონ. („რუს. ვედ“).

◆ 14 დეკემბერს ეკატერინოსლავის საერობო კრების თავმჯდომარეს კრებიდან გაუდევნია „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი კრამაროვი იმ ტყუილი ცნობებისათვის, რაიც კრების შესახებ „ნოვოე ვრემიასათვის“ უცნობებია.

◆ 16 დეკემბერს პეტერბურგს დაიწყება მუშაობა პრობკის საკეთებელ სახაზინო ქარხანაში. ეს ქარხანა თავის სიდიდით, როგორც სპეციალისტები ამბობენ, პირველია მთელ დედამიწის ზურგზე. მოწყობა ერთი მილიონი მანეთი დამჯდარა.

პრესსა

ფინანსთა სამინისტროს გამოუცია საინტერესო შრომა „სტატისტიკა უბედურ შემთხვევათა ქარხნებსა და ფაბრიკებში 1901 წლის განმავლობაში“. სტატისტიკა შეეხება მხოლოდ იმ სამრეწველო დაწესებულებათ, რომელნიც საფაბრიკო ინსპექციას ექვემდებარებიან, ასე რომ ცნობები სრული არ არის, რასაც თვით სამინისტრო აღიარებს წიგნის წინასიტყვაობაში. მიუხედავად ამისა, წიგნი დიდათ საყურადღებოა და გაზეთებში ბევრი რამ არის ამოწერილი იქიდან. სხვათა შორის, გაზ. „კურიერ“-ს შემდეგი ცნობები მოჰყავს:

> საანგარიშო წელს სულ ყოფილა 24.744 უბედური შემთხვევა. აქ აღნიშნულია მხოლოდ მუშის უფრო მძიმე დაშავება, რომელსაც ან სიკვდილი მოჰყვა ან შრომის უნარის დაკარგვა რამდენისამე ხნით. არ უნდა იფიქროთ, რომ აქ აღნიშნული იყოს ყველა უბედური შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის სამრეწველო დაწესებულებებში 1901 წელს. 17.533 ფაბრიკა-ქარხნიდან, რომელნიც საფაბრიკო ინსპექციას ექვემდებარებიან, მხოლოდ 2919 მა გაუგზავნა ინსპექციას ცნობები უბედურ შემთხვევათა შესახებ. თუ ეს მივიღეთ მხედველობაში, ცხადია 24.774 უბედური შემთხვევა მხოლოდ მეექვსე ნაწილია ყველა ამგვარ შემთხვევებისა.

ამრიგად, რუსეთის უფრო მოზრდილ ქარხანა-ფაბრიკებში წლის განმავლობაში 150 ათასზე მეტი მუშა მძიმედ დაშავებულა! ცხადია, მუშების დაზღვევის ახალი კანონი დიდათ საჭირო ყოფილა და დროც არისო, შეჰნიშნავს ხსენებული გაზეთი, სახელმწიფომ თავს იდვას მუშების საყოველთაო სავალდებულო დაზღვევაო.

⁂

საინტერესოა აგრეთვე მეორე სტატისტიკური გამოკვლევა, რომელიც გამოუციათ პეტერბურგში წიგნის მაღაზიებს. გამოკვლევა ეხება წიგნების ვაჭრობა-გამოცემის საქმეს 1902 წლის განმავლობაში. თუმცა ცნობები მარტო პეტერბურგს შეეხება, მაინც საინტერესოა, როგორც მაჩვენებელი ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების საქმისა. „კნიჟნი ვესტნიკ“-ი აღნიშნავს, რომ ბოლოს დროს სამეცნიერო წიგნებს მეტი გასავალი ჰქონიათ, ვიდრე ბელეტრისტულ ნაწარმოებთ. ყველაზე მეტი გამოუციათ, რასაკვირველია,

> სახელმძღვანელოები: სულ 527 სხვა და სხვა სახელმძღვანელო 5.035.293 ეგზემპლიარი. შემდეგ ამათ მოჰყვა სამეცნიერო პოპულიარული 142 წიგნი 998.941 ეგზემპლიარი. სულ სამეცნიერო წიგნი გამოსულა 7.805.164 ეგზემპლიარი. პუბლიცისტური გამოცემა ყოფილა 414, სულ 1.039.823 ეგზემპლიარი. ბევრი გამოუციათ კალენდრებიც—61, სულ 373.125 ეგზემპლიარი.
>
> აი საერთო ცხრილი 1902 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნებისა:

სამეცნიერო წიგნი:	7.805.164	ეგზემპლიარი
ბელეტრისტული:	6.974.477	„
სხვა და სხვა ცნობებისა	1.406.841	„
სულ	16.186.482	„

სასამართლო

მარტყოფისა და ზედაზნის მონასტრების გაძარცვა

(დასასრული*)

სასამართლოში დაბარებული იყო 150 მოწმემდე. აქედან 30 მოწმეზე მეტი არ გამოცხადდა. ერთი ბრალდებულ გიორგი დოლიძე, რომელიც პირველად გამოძიების დროს გამოტყდა, გარდაიცვალა მეტეხის საპყრობილეში. ხოლო გიორგი ალნიაშვილი, (ნამდვილად ტატო გაბაშვილი) გაიპარა მეტეხის საპყრობილიდან. დღევანდლამდე პოლიციამ არ იცის, სად იმალება იგი. ივანე თოთიბაძეს იცავს ნაფ. ვექილი აბაზაძე, რაჟდენ ცეცხლაძეს—ნაფ. ვექ. თანაშემწე ი. მაჭავარიანი, ილია თოხაძეს—ნაფ. ვექ. თავ. ბარათაშვილი, ირ. თოიძეს—ნაფ. ვექ. თავ. ვეზირიშვილი, გრიგოლ მამულაიშვილს—ნაფ. ვექ. ჯალავლოვი, ნიკოლოზ სალუქვაძეს—ნაფ. ვექ. კლანკი და ოჰანეზ ტერ-ვართანოვს—ყარაევი. საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარის შეკითხვაზე, ბრალდებულთ განაცხადეს, ჩვენ ამ საქმეში დამნაშავენი არა ვართო. მოწმეთა დაფიცების შემდეგ შეუდგნენ ჩვენების ჩამორთმევას. პირველად ჩვენება ჩამოერთვა ტფილისის პოლიცმეისტერს კოვალევს, რომელმაც გაიმეორა თავისი ჩვენება. აგენტებისაგან ვიცოდი, რომ ბრალდებულნი უსაქმონი და უბრალოდ მოხეტიალენი იყვნენ. ისინი იკრიბებოდნენ „პურ-ღვინოში“. იქვე მათ მოილაპარაკეს მონასტრების გაძარცვა. იქვე შეემზადნენ, ფული იშოვნეს, „განდეგილზე“ იქეიფეს და სხვა. შემდეგ პოლიცმეისტერმა კერძოდ ცეცხლაძეზე სთქვა: მე დარწმუნებული ვარ აგენტების ცნობბით, რომ ამას არამც-თუ მონასტერების გაძარცვაში, არამედ ფოთის ხაზინისა და თელავის გზა-ტკეცილზე ფოსტის გაძარცვაში წილი უდევს. წილი უდევს აგრეთვე კავკასიაში მომხდარ სხვა ასეთ ბოროტ-მოქმედებაში. იგი ეკუთვნის კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეებში ამ ბოლო დროს მოთარეშე ავაზაკთა ბრბოს. როდესაც ვექილები შეეკითხნენ, რა საბუთი აქვს, ან ვინ არიან იმისი აგენტები დაასახელოს, მოწმემ პოლიცმეისტერმა განაცხადა, რომ აგენტებს ვერ დავასახელებ, ხოლო ვიმეორებ, დარწმუნებული ვარ, რომ ცეცხლაძემ ამ ბოროტ-მოქმედებაში მონაწილეობა მიიღოო. მოწმემ თავ. ლ. ჯანდიერმა (ტფილისის მაზრის უფროსმა) იგი გაიმეორა, რაც გამომძიებელთან ჰქონდა ნათქვამი.

მოწ. თავ. მიხ. რევ. ერისთავმა სთქვა: სოფელ კარალეთში წასულ ზაფხულს მოვიდა ჩემთან გრძელთმიანი, სემინარიელის ტანისამოსში გამოწყობილი, ყმაწვილი, რომელმაც მითხრა: ხონის სემინარიიდან ვარო და გთხოვთ რაიმე ადგილი მომცეთ მამულშიო. მე ვუთხარი, ჩემის მამულის საქმეებს თვით ვაწარმოებ, ხოლო ვეცდები გორის მაზრის უფროსთან რაიმე ადგილი გიშოვნო-მეთქი. ყმაწვილმა კაცმა ეს რომ გაიგონა, გამშორდა და შემდეგ აღარ მინახავს. უცნობი აღმოჩნდა გიორგი დოლიძე.

მღვდელ-მონაზონმა იონამ, ზედაზნის მონასტრის გამგემ და ბერმა დოდომ იგივე გაიმეორეს, რაც გამომძიებელთან ეთქვათ და რაც გუშინ უკვე გვქონდა დაბეჭდილი. სხვათა შორის, მ. დოდომ სთქვა: საღამო იყო, ჩემთან მოვიდა ორი უცნობი ახალგაზრდა და მითხრა, ლონდონის სემინარიიდან გამოგვრიცხეს 300 კაცი, გამოქცეულები ვართ და მთავრობა დაგვეძებს დასაჭერადაო. პური გვშიან, მოქანცულები ვართ და გვაჭამეთ რამეო. პური უჭმევიათ და შემდეგ გაძარცვას შესდგომიან. ექიმმა ი. ელიაშვილმა სთქვა: თოთიბაძეს 4 წელიწადია ვიცნობ. თოთიბაძეს 20 მაისს 1902 წელს რაღაც საქმე ჰქონდა ბაქოს სასამართლოში. მაისის პირველ რიცხვებში ელიაშვილს თოთიბაძე გაუგზავნია ბორჯომს სახლის დასაქირავებლად, სადაც სახლობა უნდა გაეგზავნა საზაფხულოდ. თოთიბაძეს შეუსრულებია ეს საქმე

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2358.

ხოლო კრებისავე უფლებაა, მოითხოვს ამ ანგარიშს, განიხილავს ამ საგანს, თუ არა. შეიძლება კიდევ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საზოგადო კრება გააუქმებს თუ არა გამგეობის ზოგიერთს დადგენილებას, ხოლო ყოველს ეჭვს გარეშეა **ანგარიშის მოთხოვნა**. კრების სრული უფლებაა, მოითხოვოს ყოველის მოქმედების ანგარიში, მიუხედავად იმისა, გააუქმებს იგი გამგეობის გადაწყვეტილებას, თუ არა.

მით უმეტეს უფლება აქვს საზოგადო კრებას მოსთხოვოს გამგეობას ყველაფრის ანგარიში, ასწონოს, დააფასოს, მოიწონოს თუ დაჰგმოს ყოველი მოქმედება გამგეობისა, როდესაც უკანასკნელი სამსახურს თავს ანებებს. ზოგიერთები დრამატიულ საზოგადოების წესდებაზე გვითითებენ: ის ზღუდავს საზოგადო კრების უფლებასაო. წესდებაში ასეთი არაფერი სწერია. პირიქით, წესდების მე-24 §-ის მუხლი დ სულ სხვას ამბობს, სახელდობრ: გამგეობის საქმეა „წარმოება საქმეებისა და მოხმარება ქონებისა **პასუხის გებით** საზოგადოების წინაშე“.

დიდს დანაშაულობას სჩადის საზოგადო კრება, როდესაც გამგეობის უფლების დაცვას ცდილობს და ნამდვილად-კი არღვევს საკუთარს უფლებებს. იგი ანიჭებს გამგეობას იმ უფლებას, რომელიც მისი პირდაპირი წმინდა და აუცილებელი უფლებაა და ამით შეაქვს საქმეში ანარხია, რომელსაც გაურბის და რომლის გულისათვის უარ-ჰყოფს თავის უფლებას. გამგეობა აღმასრულებელი ორგანოა და დეე იყოს აღმასრულებელ ორგანოდ. აღმასრულებლობა სრულებით არ აძლევს მას ნებას პასუხის უგებლად იმოღვაწოს. გამგეობა განმახორციელებელი და შემსრულებელია საზოგადო კრების ნებისა და ყოველთვის ანგარიშს უწევს მის სურვილს, აზრსა და განზრახვებს. გამგეობა გამგებლობს, ვიდრე თანხმობა, ჰარმონია არსებობს მას და კრებას შორის, ვიდრე გამგეობას აქვს კრების ნდობა. მაგრამ შეიძლება განა რაიმე ნდობაზე ლაპარაკი, როდესაც კრების წინაშე არ არის სავსებით გადაშლილი გამგეობის მოქმედების სურათი? რაში უნდა გამოუცხადოს კრებამ გამგეობას ნდობა? იმაში, რაც კრებას გაუგია, გაუცვნია, განუხილავს და დაუფასებია. ან რა ფასი ექნებოდა კრების ნდობას, თუ ეს ნდობა არ იქნებოდა დამყარებული საქმის ცნობაზე? ამგვარად თვითონ ნდობის სურვილი მოითხოვს სრულის ანგარიშის ჩაბარებას გამგეობისაგან კრებისათვის.

გამგეობის მოღვაწეობა ყოველთვის უფრო დაკვირვებული, წინდახედული იქნება, როდესაც გამგეობა ღრმად დარწმუნებულია, რომ მის მოღვაწეობაში არ არის ერთი ნაბიჯი, ერთი უბრალო საქციელი, რომლის ანგარიში არ უნდა ჩააბაროს საზოგადო კრებას. გამგეობას მუდამ თვალწინ უნდა უდგეს საზოგადო კრება, როგორც უმაღლესი გამკითხველი და მსაჯული. მაშინ, უეჭველია, მის მოქმედებას უფრო მეტი საზოგადოებრივი ხასიათი ექნება. გამგეობას ყველაფერში უნდა „ეშინოდეს“ საზოგადო კრებისა, და ამიტომ არასოდეს არ უნდა ეშინოდეს სინათლის, ყველაფრის გამოაშკარავებისა.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჩვენში ძლიერ უყვართ გამგეობათა გამოცვლა, ვითომც მარტო გამგეობათა დაცვლით ყველაფერი გაკეთდებოდეს. ჩემის აზრით, ხშირად გაცილებით უკეთესია, გამგეობის გამოცვლის მაგიერ, საზოგადო კრება დაწვრილებით, ყოველის მხრით განიხილავდეს გამგეობის ნამოქმედარს, სასტიკს მსჯავრს დასდებდეს გამგეობის მოღვაწეობას, გარკვევით აღნიშნავდეს ყოველს მის ცუდს მხარეს, უჩვენებდეს გზას მომავალ მოქმედებისათვის. და ასეთის მკაცრის, ყოველმხრივის კრიტიკის შემწეობით საზოგადო კრება უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა საქმეს, ვიდრე მაინცა-და-მაინც ძველის მაგიერ ახალის პირების არჩევით. ჩვენში-კი, საუბედუროდ, უმჯობესად მიჩნიათ გამგეობის მოღვაწეობის სავსებით არ-განხილვა და უამისოდ გაძევება გამგეობისა ან ნდობის გამოცხადება.

ერთი მცირე შენიშვნა: ადვილად შეიძლება, რომ რომელისამე რთულის საგნის გარჩევა ძნელი იყოს მრავალ-რიცხოვან კრებაზე, მაშინ კრებას შეუძლიან საქმის სავსებით და დაწვრილებით გაცნობა მიანდოს თავის მიერ არჩეულ კომისიას. ეს სრულებით არ ეწინააღმდეგება პრინციპს.

ზოგიერთები წინააღმდეგნი არიან საზოგადო კრების უფლებათა გაფართოვებისა პრაქტიკულის მოსაზრებით: ჩვენისთანა განუვითარებელ საზოგადოებაში ასეთი წესი სრულს ანარხიას გამოიწვევსო. მაგრამ თვითონ ამ განვითარებისათვის არის საჭირო საზოგადო კრებათა უფლების გაფართოვება და თავისუფლება. საზოგადოებრივ აღზრდას ესაჭიროება საზოგადოებრივი წრე. ჩვენში საზოგადოდ ძლიერ სუსტად არის განვითარებული პასუხისმგებლობა და საჭიროა ვებრძოლოთ ამ ნაკლულევანებას საზოგადო კრებებზე. არა-პასუხისმგებლობა სიბნელის გავრცელებაა, რომლითაც ასე მოცულია ჩვენი ცხოვრება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ საზოგადო საქმეში წინსვლისათვის აუცილებლად საჭიროა მეტი სინათლე, რადგან ეს არის გარანტია წარმატებისა.

* *

წარსულ კრებაზე ბევრი სიტყვა იქმნა წარმოთქმული, რომელნიც მშვენიერად ახასიათებენ ჩვენს საზოგადოებას, მის სხვა და სხვა მიმართულებას და მიდრეკილებას. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ერთის ორატორის სიტყვები, რომელიც ამბობდა: მართალია „ინციდენტი“ მოხდა, მაგრამ მივმართავ საზოგადოების მამულიშვილობას, პატრიოტულ გრძნობებს და უმორჩილესად ვსთხოვ ყველას შერიგებასო. რასაკვირველია, შერიგება ძალიან მოსაწონი საქმეა თავისთავად, ხოლო მამულიშვილობა მამულიშვილობაა და მამუშიშვილობა ვერ გასწევს უფლების მაგიერობას. თუ უფლება სადმე დარღვეულია, იგი უნდა აღდგენილ იქმნას და მარტო მაშინ შეიძლება ჭეშმარიტი და მტკიცე შერიგება.

თვითონ მამულიშვილობაშიაც იმგვარადვე საჭიროა უფლება, როგორც სხვა ყველაფერში. არა ნაკლებ ტიპიური და დამახასიათებელი იყო მეორე ორატორის სიტყვები, რომელიც უფლების ჩუქებას თხოულობდა გამგეობისაგან როგორც საზოგადო კრებისთვის, ისე ბ. მესხიშვილისათვის. ყოვლად შეუფერებელი შეზავებაა „უფლება და ჩუქება“. ისე ვერ ეწყობა ერთი მეორეს, როგორც ცეცხლი წყალს. ყველაფრის გასაჩუქრება შეიძლება დედამიწაზე, მხოლოდ არა უფლებისა. გასაჩუქრება არის შეურაცხყოფა უფლებისა, მისი უარ-ყოფა, მოსპობა! უფლება—უფლებაა! უფლება არაა მოწყალება, რომელიც შემიძლია გამოვიღო ვისმესთვის. უფლება არაა ლუკმა პური, რომელიც შეგვიძლია გადავუგდოთ გლახას. უფლება თუ ჩემია, იგი—ჩემია! და არავის არ შეუძლია მაჩუქოს მე იგი! გასაჩუქრება შეგიძლიათ იმისი, რაც თქვენია. უფლება თუ ჩემია, მე შემიძლია მოვითხოვო იგი და არა მივიღო საჩუქრად!..

სამწუხაროდ, ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ისეა მოწყობილი, ისე ვართ აღზრდილნი, რომ უფლება ისე ვერ წარმოგვიდგენია, თუ არა ნაჩუქარი. ჩვენის მოქმედების პრინციპად გაგვიხდია, რომ ვითხოვოთ და საჩუქრად მივიღოთ უფლება, ამიტომაც გვგონია, რომ ჩვენც თვითონ შეგვიძლია გავასაჩუქროთ უფლება სხვებზე, რომელნიც ასე თუ ისე დამოკიდებულნი არიან ჩვენგან. ეს მეტად მწვავე და დიდი ნაკლულევანებაა ჩვენის საზოგადოებისა და იგი ძირიანად უნდა აღმოვფხვრათ, რაც შეიძლება, მალე და მალე! უფლება—ეს უწმინდესი და უდიდესი ღირსება და მადლი ადამიანისა, ყოველთვის ღირსებით უნდა იყოს დაცული. მისი პატივისცემა უნდა იდგეს ყველაზე მაღლა! სული ადამიანისა და უფლება მისი განუშორებელი უნდა იქმნეს ერთი მეორისაგან! უფლება თუ არა გაქვთ, იგი შეიძლება დაიმსახუროთ მისდამი ღრმა სიყვარულით, შრომით, ოფლით და მისწრაფებით მის მოპოვებისთვის!..

სიტყვა

და ბაქოში დაბრუნებულა. 31 მაისს ექიმს უთხოვნია თოთიბაძისთვის ნივთების გადატანაზე დახმარება. შემდეგ ელიაშვილი სახლობას გაჰყვა ბორჯომში 3 თუ 4 ივნისს. იქ დარჩენილა რამდენსამე დღეს და ივნისის შუა რიცხვებში ისევ ბაქოში დაბრუნებულა. შემდეგ ელიაშვილს აღარ უნახავს. მღ. ხიზანაშვილმა სთქვა: სოფელ კარალეთში შარშან ზაფხულს მოვიდა ერთი გრძელთმიანი ყმაწვილი და მითხრა, დოლიძე-ბერიძე ვარ, არდონის სემენარიიდან გამომრიცხეს და დახმარება გამიწიეთ ფულითაო. ვიდრე იმის თხოვნას შევასრულებდი, მომშორდა და წავიდა. წმ. ანტონის მონასტრის გამგემ მღვდელ-მონაზონმა გერმანემ და ბერმა იოსებმა ისევე სთქვეს, რაც გამომძიებელთან, და რაც დაბეჭდილი გვქონდა. სხვათა შორის, გერმანემ სთქვა: ერთი ავაზაკი, რომელიც სანთლის გამყიდველ ბერს მიჰყვარდა, თათარსა ჰგავდა. ბრალდებულთ ვერ ვიცნობ, იმათს ცოდვას ვერ დავიდებო. მოწმებთა ნ. დოლიძისა, კალინინისა, ოროქოშვილისა, ჯავახიშვილისა, ხომერიკისა, დ. დოლიძისა, ლ. სიხარულიძისა, გრ. თოხაძისა და სხვათა ჩვენებით გამოირკვა, რომ ბრალდებულთ ყველას საქმე და ადგილი ჰქონია. ცეცხლაძე რკინის გზის იჯარებს იღებდა და ფული ყოველთვის ჰქონდა. მამულაიშვილი სალუქვაძის ბუფეტში მსახურებდა, თოხაძემ საბუხჰალტერო კურსები დაამთავრა და თვეში 30 მან. იღებდა და სხვ. „პურ-ღვინო“-ში მუდმივ არ იმყოფებოდნენ იგინი. ერთმა უმთავრესმა მოწმემ, „პურ-ღვინო“-ს სასტუმროში მსახურად ნამყოფმა ვლადიმერ ხანთაძემ დიდ-ხანს ილაპარაკა. ხანთაძემ განაცხადა, რომ ამ საქმისა არაფერი ვიციო. ორ ბრალდებულს არც-კი ვიცნობდი. დანარჩენნი მართალია „პურ-ღვინო“-ში მოდიოდნენ, მაგრამ მათი ყოფა-ქცევა საეჭვოდ არ მიმაჩნდა. იმათ საკმაო ფული ყოველთვის ეშოვებოდათ; ყველას თავის საქმე ჰქონდა დი მუშაობდა. ხან-და-ხან ბილიარზე სათამაშოდ მოვიდოდნენ ხოლმე, ისე როგორც სხვებიო. მოწმეს წაუკითხეს გამომძიებელთან მისი ჩვენება და აღმოჩნდა, რომ წინანდელ ჩვენებით თოიძე, მამულაიშვილი, დოლიძე და სხვები იმის ბინაზე შეკრებილან 31 მაისს, ფული უსესხნიათ ზოგი ხანთაძისაგან და ზოგი სხვებისაგანაც. შემდეგ წასულან მამა-დავითისაკენ და იქ „განდეგილ“-ში უქეიფნიათ საღამომდე. 1 ივნისს ისევ მოსულან. ეტყობოდათ, რომ სადღაც უნდა ემგზავრნათ. ამაზე მოწმემ განაცხადა: მე ეხლა ფიცი მიმიღია და ყოველივეს მართალს ვილაპარაკებ. ბათუმში ვმსახურებდი იმ დროს, როცა აქ ტფილისში გამომძიებელმა დამიბარა. გამომძიებელთან პირველად განვაცხადე სიმართლე, რომ მე ამ საქმისა არა ვიცოდი-რა, შემდეგ წამიყვანა პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულმა ტერ-გრიქუროვმა, თავ-პირი დამამტვრია და ძალა დამატანა, ყველაფერში გამოტყდი, თორემ საპყრობილეში გაგგზავნიო. დავთარი დამებნა. შემეშინდა, მეგონა, პოლიცია მეც ამ საქმეში ჩამათრევს და დავიღუპები-მეთქი. მეორედ დამიბარეს გამომძიებელთან. გამოკითხვას დაესწრო ბოქაული გუგუშვილი. რადგან ამ საქმისა არა ვიცოდი-რა და გამომძიებელს ვერაფერი ვუთხარი, გუგუშვილმა თავის სახლში წამიყვანა და იქ ოთხი დღე გამაჩერა. ვეხვეწე, ბათუმში სამსახური მეკარგება-მეთქი, გამიშვით, მაგრამ არ გამიშვა. დამიწყო ხვეწნა, მომეფერა, და მპირდა მანთაშევთან 200 მან. ადგილს გიშოვნი, აქ დარჩი და მოიგონე როგორ მოხდა ეს საქმეო. ოთხის დღის განმავლობაში გუგუშვილმა გამაცნო მთელი საქმის ვითარება. ოთხის დღის შემდეგ, როცა მომამზადა, თავის სახლში მოიწვია გამომძიებელი და თვითონ გუგუშვილი თარჯიმანად მყავდა. მეც იმ შიშით, რომ ამ საქმეში არ გავხვეულვიყავი, ვაჩვენე გამომძიებელს ისე, როგორც მანდა სწერია. ხოლო ეხლავე ვამბობ, რომ ყოველივე ეს ნაძალადევად გამომტყუეს და მე ამ საქმისა არა ვიცი-რაო. ამ ჩვენების სინამდვილის გამოსარკვევად ბრალმდებლის ამხანაგმა სოკოლოვსკიმ მოითხოვა, სასამართლოს გამოეწვია გამომძიებელი ილიაშენკო. ვექილებმა ერთხმად განაცხადეს, ილიაშენკოს გამოკითხვა არ შეიძლება, რადგან აქვე ზის და საქმის ყოველივე ვითარება გაიგონაო. სასამართლომ შეუძლებლად იცნო გამომძიებლის გამოკითხვა. ვექილმა ჯალალოვმა მოითხოვა, სასამართლომ გაიგოს, მართალია თუ არაო, რომ ხანთაძეს გამომძიებლისაგან უწყება არ მიუღია და რომ გუგუშვილის სახლში თარჯიმნად თვით გუგუშვილი იყო. სასამართლომ მცირე თათბირის შემდეგ უარ-ჰყო ეს თხოვნა.

(დასასრული იქნება)

წერილი მთიულეთიდან

წლევანდელი ზამთარი.—საბაჟო გარდასახადი.

წელს მთაში საზოგადოდ კარგი ზამთარი დადგა. მოხუცებულები გაკვირვებულნი არიან ამისთანა ზამთრის გამო. საქონელი კარგად ივსება, მაგრამ მოსავლისათვის როგორი შედეგი მოჰყვება, არ ვიცით. უთუოდ მრავალს ეტოდინება, რომ მთაში სახნავი მამული ძრიელ ცოტაა და თავიანთ მიწის მოსავალი მთიულებს ორს-სამს თვეს ძლივს ჰყოფნით. ამიტომ აქაურების საჭმელს მომეტებულ ნაწილად შეადგენს სიმინდი, რომელსაც ყიდულობენ კავკავში და ეზიდებიან 110 ვერსის მანძილზედ ურმებით ანუ აკიდებულის ცხენებით, მოკლეს გზით, მთაზედ. კავკავიდან ფასანაურამდე საბაჟო (ზასტავა) ართმევდა გზის ქირას თითო მგზავრზე 77 კაპეიკს, რომელიც დიდად უჭირდებოდათ მთიულებს. ადგილობრივმა ბოქაულმა ერთი წელიწადია აღძრა შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ქვიშეთის საბოქაულოს მთიულნი განთავისუფლებულიყვნენ გზის გადასახადისგან, როდესაც ისინი ეზიდებიან კავკავიდან სიმინდს ანუ სხვა სანოვაგეს თავიანთ საჭიროებისათვის, რადგან თავიანთ მოსავალი ნახევარ წელსაც ვერა ჰყოფნით და განუწყვეტლივ ჰყიდულობენო. უმაღლესმა მთავრობამ შეგვისრულა დიდის ხნის წადილი და გაგვანთავისუფლა გადასახადისაგან. ამავე ბოქაულის ანტონოვის მეცადინეობით 1901 წელს მეცხვარეებიც განთავისუფლეს ამ გადასახადისაგან.

ბარელი მთაში

დაბა-სოფლები

სოფ. კალოვათა (იმერეთი). 14 დეკემბერს დაიჭირეს იოსებ გაფრინდაშვილი, რომელიც გამოპარულიყო ქუთაისის საპყრობილედან. იმალავდა თავს და თავისუფლად დათარეშობდა ამ ახლო-მახლო სოფლებში. გაფრინდაშვილს ბევრ რამეს აბრალებდნენ, კაცის მოკვლას, თავდასხმას და სხვას. ადმინისტრაციამ სასტიკი ზომები მიიღო იმის დასაჭერად, „ზეკუცია“ ჩაუყენეს მეზობლებს სოფ. შუქრუთში, მაგრამ დღემდის ვერ დაიჭირეს. დღეს-კი ბოლო მოეღო იმის ბოროტ-მოქმედებას ამ სოფელში. ის სწვევია აქაურ გლ. ანტონა ქალაძეს ღამის გასათევად. შუაღამისას ადგილობრივი მამასახლისი ზურაბა გულიაშვილი სამის დარაჯით მოულოდნელად თავს დაეცა ანტონა ქალაძეს სახლს. მასპინძელი იძულებული გახადეს გაეცა სტუმარი, რომელიც ცალკე ოთახში იყო. მამასახლისის განკარგულებით, ოთახის კარები გარედან გადაკეტილ იქმნა. დარაჯებმა თოფის სროლა დაუწყეს და იმანაც თოფითვე გასცა პასუხი. შეიქმნა ფიცხელი ბრძოლა, მაგრამ ბოლოს დამწყვდეული იძულებული გახადეს, იარაღი აეყარა და დამორჩილებოდა. შემდეგ თოკით შეკრული წარუდგინეს ადგილობრივ ბოქაულს. არავინ ჰფიქრობდა, თუ ასე სისხლ დაუღვრელად დაიმორჩილებდნენ ამას.

გრ. ჭიჭინაძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 დეკემბერი

არიოლი. არლოვის სავაჟო პროგიმნაზია მომავალ წლიდან გადაკეთებულ იქნება მეორე გიმნაზიად.

ჩიფუ. იაპონიამ კიდევ დაიქირავა რამდენიმე გემი ჯარისა და სურსათის გადასაზიდად. მექვსე ქვეითა ჯარის კორპუსი საომრად არის მომზადებული, მომზადებულია აგრეთვე ფლოტი, რომელიც 4 ესკადრად არის გაყოფილი.

ყაზანი. საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა: მივიღოთ მონაწილეობა ყაზანის უნივერსიტეტის 1904 წლისათვის დანიშნულ ასი წლის საიუბილეო დღესასწაულში გამოვსცეთ პოპულიარული წიგნაკი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს უნივერსიტეტს ვოლგასა და გამაზეკმდებარე გუბერნიებისათვის, გადავსდოთ 3 ათასი მანეთი უნივერსიტეტთან ქალთა უმაღლეს კურსების მოსაწყობად, რომლის პროგრამაში აგდილი დაეთმობა სავგრონომიო მეცნიერებასაც, მოვიწვიოთ ერობის ხარჯით დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ორი უფროსი და საუკეთესო მასწავლებელი და გადავსდოთ 2 ათასი მანეთი ერობისა და თავად-აზნაურობის სახელით რაუტის გასამართავად.

ტოკიო. საქმის მდგომარეობა ისევ სერიოზულია, პირიქით, უფრო გაუარესდა. იაპონიამ გამოსცა საჩქარო განკარგულება რამდენიმე კრეისერის აშენების შესახებ. ამას გარდა იაპონიის სავაჭრო ფლოტის სამი საუკეთესო გემი შეიარაღებულ კრეისერებად აქციეს.

ყაზანი. საგუბერნიო საერობო კრებამ მიანდო გამგეობას, შეეკრას პირობით, თუნდაც ერთას წლის ვიდით, იმ საგუბერნიო ერობათ, რომელნიც შეუერთდენ ხელშეკრულობას ერობათა ურთიერთ დაზღვევის შესახებ.

ჯიბუტი. აბისინია-ამერიკის სავაჭრო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. მენელიკმა მიიღო მიწვევის ქაღალდი სან-ლუის მსოფლიო გამოფენაში დასწრების შესახებ და გაუგზავნა რუზველტს საჩუქრად ორი ლომი და სპილოს ორი ეშვი.

ნაგასაკი. გამოვიდა განკარგულება, რომლის ძალითაც კორეაში მიმავალი 5 ათასი კაცი კიუსის რკინის გზით 20 დეკემბრისათვის ნაგასაკში იქმნას მიყვანილი. ამას გარდა ნაპრძანებია, კარაციდან ნაგასაკში 20 ათასი ტონი ნახშირი გადაიტანონ.

ბერლინი. უოველს საფუძველს მოკლებულია ის ცნობა, ვითომ გერმანიას აზრად ჰქონდეს, წმ. თომას კუნძულზე ნახშირისათვის სადგურის შექმნა.

ხარკოვი. საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა, ვაძლიოთ ქალაქსა და მაზრებს სესხად თითვეულს 20 ათას მანეთამდე $4\frac{1}{2}$ პროცენტით. ქალაქების და მაზრებისათვის სხვა და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად ნება დართულია 381,814 მანეთის სესხი.

20 დეკემბერი

მოსკოვი. საპატიო მოქალაქემ კოტოვმა საქალებო საკომერციო სასწავლებელს შესწირა 16 ათასი მანეთი.

კურგანი. გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთ „კურგანსკი ლისტოკ ობიავლენი“-სა.

სტამბოლი. გამოვიდა ირადე იმის შესახებ, რომ მაკედონიის ჟანდარმერიის უფროსად იტალიელი გენერალი დაინიშნოს. ოსმალეთის ელჩს რომში მიანდეს, მოელაპარაკოს იტალიის მთავრობას ამ თანამდებობისათვის შესაფერ პირის დასახელების შესახებ.

პარიზი. სიამის ელჩმა მიიღო საფრანგეთის მთავრობის მიერ წარდგენილი ძირითადი მუხლები დამატებით შეთანხმებისა. კონვენცია მოქმედებას 1904 წლის 2 თებერვლამდე განაგრძობს.

ჩიკაგო. თეატრში ცეცხლის გაჩენის დროს 2 ათას კაცამდე ყოფილა. დაღუპულთა რიცხვი ნაანგარიშებია 690. სამასი კაცი ჯერ არ უპოვიათ.

ლონდონი. როგორც საღამოს გაზეთები იუწყებიან, იაპონიის საელჩო დღეს გაცილებით უფრო ცუდ გუნებაზეა.

მინსკი. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ საჭიროდ სცნო დაარსდეს, ცნობების შემკრები ბიუროები ნაწარმოებთა ყიდვა-გაყიდვისათვის.

ხარკოვი. საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა წესები, რომელნიც შეეხებიან გადამდებ სენთან ბრძოლის დროს ან უბედურ შემთხვევათაგან დახოცილ ექიმთა ოჯახისათვის პენსიის დანიშვნას და გადასდო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დასახმარებლოდ 19 ათასი მანეთი.

ბელგრადი. სკუპშჩინამ უმეტესობით 89 ხმისა ჭ წინააღმდეგ 22-სა პირველ წაკითხვის შემდეგვე დაამტკიცა კანონ-პროექტი ბეჭდვის საქმის შესახებ.

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ ინება დაამტკიცა უწმ. სინოდის მოხსენება იმის შესახებ, რომ მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორი არხიმანდრიტი ევდოკიმი ვოლოკალამის ეპისკოპოსად დაინიშნოს.

პეტერბურგის ბირჟა, 19 დეკემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,95
პარიზისაზე 100 ფრანკში.	$37,37\frac{1}{2}$
ლონდონისაზე ჩეკები	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	5-$6\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$99\frac{1}{2}$ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$95\frac{1}{8}$ მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	436 გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	325 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	280 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	
$4\frac{1}{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	92 „
$4\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	235 „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის გამგეობა აცხადებს თანახმად წესდების მესამე მუხლისა, რომ ამა წლის 20 დეკემბრიდან გაიმართა (მიხეილის ქუჩა, სახლი ექიმის კარაპეტიანცისა)

„ავეჯეულებათა გამოფენა“

წევრთა მიერ გაკეთებულ ავეჯთა გასასყიდად და შეკვეთილების მისაღებად, რამაც გამოიწვია ქარხნისა და სავაჭროს გაფართოვება. ამისათვის ვიწვევთ წევრებს საამხანაგო ქარხანაში სამუშაოთა და გამოფენაშიც მონაწილეობის მისაღებად. ვისაც საწევრო გადასახადი შესრულებული არა აქვს, ვსთხოვთ დააჩქარონ მისი შემოტანა. ფულის ნაცვლად, თანხმად წესდების 14 და 15 მუხლებისა, იარაღი და ავეჯეულობაც მიიღება.

გამოვიდა და იყიდება

საბერძნეთის ძველი ისტორია,

პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათით და ორის რუკით. ფასი ერთი მან.

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა

აჯამეთი მამულში

დაიწყო გასყიდვა:

1) ფესვიანის დამყნილის ვაზისა—კრახუნას, ცოლიკაურის, ძველ-შავის, კაბერნეს და რქა-წითელის ჯიშებისა;

2) რქებისა ამერიკულ ვაზის Rupestris mont და Riparia gl-სა.

ადრესი უბრალო წერილებისა და დეპეშებისათვის: ст. Аджаметы Закавк. жел. дор.). Управляющему имѣніемъ А. М. Татевосянъ. (12—1).

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც **იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენის და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

სოფელ სვერში (შორაპნის მაზრა) დარისპან

წულუკიძის

სანერგეში იყიდება

ერთი წლის

დამყნილი ვაზი

ამერიკულ ვენახზე რქა და დონდღლაბი, რომელთაც ნაცარი არ უნდება. აგრეთვე იყიდება (გლედიჩი) ან ეკლის ხე და ბჟოლა (თუთის ხე) და სხვა ნამყენი ხეხილები. ფოსტის ადრესი: სადგური ჭიათურა, ვლადიმერ ჯიბოს ძე წერეთელი. (3—227—2)

ქუთაისში

კბილის ექიმი

დავით ს. რიჟინაშვილი

იღებს დილით 9—2 სათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, სახლი ი. გოკიელოვისა. (3—2)

მიიღება ხელის მოწერა

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი **„კ ვ ა ლ ი“** მეთერთმეტე

გამოვა 1904 წელსაც ყოველ კვირა დღეს ერთიდან სამ თაბახამდე.

გაზეთის ფასი:

ტფილისში: ერთი წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—3 მან. 50 კაპ., სამი თვით—2 მ. თითო ნომერი—15 კაპ.

ტფილისს გარეთ: ერთი წლით ღირს 8 მან., ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან:, თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე პირველ კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში (რუსის ბაზარი, საეკკლესიო სახლებში).

ტფილისს გარეთ:

ქუთაისში—მიტროფანე ლაღიძესთან, ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათომში—სპირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალსენაკში—გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და კარპე მოდებაძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში; ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან; საბუნზაში (ბაქო)—პეტრე მაჭავარიანთან.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს ხელის მომწერლებს თავიანთი ადრესები გარკვეულათ დაწერილი გამოგზავნონ.

◆ ადრესის გამოცვლა ტფილისს გარეთ ღირს 40 კაპ. ◆

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «Квали». (3—1)

Дозв. ценз. Тифлисъ 20 декабря 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Издат. Т—ва